შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA

2020- 2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის

მონიტორინგის ანგარიში

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზანია გამოკვეთოს ის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლებზე დაყრდნობითაც აკადემია უზრუნველყოფს საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას და განვითარებას, თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად.

2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის პროცესი აკადემიას საშუალებას აძლევს, აკონტროლოს დაგეგმილი მოქმედებების შესრულების მიმდინარეობა; დროულად გამოავლინოს ხარვეზები, გაანალიზოს მისი გამომწვევი მიზეზები და მოახდინოს ადეკვატური რეაგირება მდგომარეობის გამოსასწორებლად. სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის ფარგლებში შემუშავდა ორი დოკუმენტი:

- 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის ***დამხამარე დოკუმენტი*** (დანართი 1)
- აკადემიის სტრატეგიული ***მიზნების რელევანტურობის შეფასების ფორმა*** (დანართი 2).

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მთავარ <u>სტრატეგიულ მიზნებად განსაზღვრულია:</u>

სტრატეგიული მიზანი 1. ფორმალური და არაფორმალური სწავლების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 2. ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 3. ადამიანური რესურსების და მართვის სისტემის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი 4. დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია;

სტრატეგიული მიზანი 5. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება.

სტარტეგიული მიზნები ჩაშლილია სტრატეგიულ ამოცანებად. ისინი უზრუნველყოფენ სტრატეგიის საერთო მიზანთან ბმას და კონტრიბუციას, ასევე, უზრუნველყოფენ მათ განხორციელებას შესაბამისი სტრატეგიული ამოცანებისა და აქტივობების მეშვეობით. ყოველწლიურად სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაყრდნობით და მიმდინარე გამოწვევების გათვალისწინებით იქმნებოდა წლიური სამოქმედო გეგმები.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რელევანტურობის შეფასება

,,სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის'' შესაბამისად სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი განახორციელა აკადემიის სენატმა, რომელსაც ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევდა აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახური.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რელევანტურობის შეფასება განხორციელდა დისტანციურად, სენატის წევრების მიერ შევსებული ფორმის აკადემიისათვის მოწოდების გზით.

აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სამსახურის მიერ სენატს მიეწოდა ინფორმაცია სტრატეგიული მიზნის და შესაბამისი ამოცანის შესრულების მიზნით შესაფასებელ პერიოდში განხორციელებული აქტივობების, მიღწეული პროგრესის და გაწეული ძალისხმევის, ასევე სტრატეგიული მიზნის მისაღწევად შემდგომი ხედვის თაობაზე.

სენატის წევრებმა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რელევანტურობის შეფასება განახორციელეს PESTLE (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი, ეკოლოგიური ფაქტორები) ანალიზის პრინციპების გამოყენებით.

თითოეული სტრატეგიული მიზანი და ამ მიზნის ქვეშ განსაზღვრული ამოცანების ერთობლიობა სენატის წევრებმა შეაფასეს ექვსი კრიტერიუმის მიხედვით, 5 ქულიანი სისტემით, სადაც
5 ნიშნავდა ფაქტორის პირდაპირ ხელშემწყობ გავლენას მიზნის მიღწევაზე,
4 ნიშნავდა ფაქტორის შესაძლო დადებით გავლენას მიზნის მიღწევაზე,
3 ნიშნავდა ფაქტორის ნეიტრალურ გავლენას მიზნის მიღწევაზე,
2 ნიშნავდა ფაქტორის შესაძლო ხელშემშლელ გავლენას მიზნის მიღწევაზე,
1 ნიშნავდა ფაქტორის ნეგატიურ გავლენას მიზნის მიღწევაზე, ხოლო
0 ნიშნავდა, რომ ფაქტორს არანაირი გავლენა არ აქვს მიზნის მიღწევაზე.

სტრატეგიული მიზნების შეფასებაში სენატის 14 წევრიდან მონაწილეობა მიიღო 13 წევრმა. თითოეული სენატის წევრის მიერ სტრატეგიული მიზნის შეფასება წარმოადგენდა თითოეული ფაქტორის მიხედვით განხორციელებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულს.

მონიტორინგის პროცესის შემდგომი ეტაპი მოიცავდა აკადემიის დონეზე თითოეული სტრატეგიული მიზნის შეფასებას, რაც ყველა შემფასებლის მიერ განხორციელებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულის განსაზღვარას გულისმობდა.

საბოლოო ჯამში, სტრატეგიის განხორციელების პროცესის ეფექტიანობა შეფასდა იმ მიზნებისათვის, რომლებიც შეფასდა 3 ან მეტი ქულით; სტრატეგიული მიზნისთვის 3 ქულაზე ნაკლები საერთო შეფასების დაფიქსირება შესაძლოა გამხდარიყო სტრატეგიული მიზნის ამოღების, მოდიფიცირების ან შეცვლის საფუძველი, რისი საჭიროებაც მიმდინარე მონიტორინგის დროს არ დამდაგარა, ვინაიდან სტრატეგიული მიზნების სრული უმრავლესობა შეფასდა 3 და მეტი ქულით.

სენატის წევრების მიერ 2020-2027 წლების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რელევანტურობის შეფასების შედეგები მოცემულია ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1. სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რელევანტურობის შეფასების შედეგები

სტარტეგიული მიზნები	სენატის წევრების შეფასებები													საშუალო ქულა	შენიშვნა
სტრატეგიული მიზანი 1. ფორმალური და არაფორმალური სწავლების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	3,16	3,7	3,8	3,33	4,3	3,5	4,5	4,5	4,8	4	4,8	5	5	4,18	
სტრატეგიული მიზანი 2. ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების განვითარება	4,16	3,7	3,8	4,33	4,5	5	4,6	4,3	4,8	3,6	4,8	5	4,33	4,37	
სტრატეგიული მიზანი 3. ადამიანური რესურსების და მართვის სისტემის განვითარება	3,33	3,3	3,8	3,5	4,3	5	4,6	4,2	4,8	4,3	5	5	4,83	4,31	
სტრატეგიული მიზანი 4. დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია	3,5	3	4	3,33	4,6	5	4,8	4,2	5	4,5	4,8	5	4,33	4,31	
სტრატეგიული მიზანი 5. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება	3,33	3,7	3,8	3,5	4,3	5	4,8	4,2	5	4,6	4,8	5	4,33	4,33	

სტატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიზანი 1. ფორმალური და არაფორმალური სწავლების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის განხორციელებისთვის განსაზღვრული იყო შემდეგი სტარტეგიული ამოცანები:

1. საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება სხვა მოთხოვნად სწავლის სფეროებშიც
2. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა
3. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მოქნილი და ეფექტური მექანიზმების დანერგვა
4. საშუალო დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირება
5. დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება
6. მომზადება-გადამზადების პროგრამების სპექტრის შემდგომი გაზრდა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარების მეტად დაფარვის მიზნით
7. პროგრამების საზოგადოებისათვის შეთავაზების ან ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის ალტერნატიული, მოქნილი და ეფექტური მექანიზმების (რეგიონებში, დისტანციური, ელექტრონული სწავლების სისტემის გზით დასხვა) დანერგვა

სტრატეგიის განხორციელების პროცესის ეფექტიანობა პირველი სტრატეგიული მიზნისთვის შეფასდა - 4,18 ქულით.

სტრატეგიული მიზანი 2. ინფრასტრუქტურისა და სტუდენტური სერვისების განვითარება

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის განხორციელებისთვის განსაზღვრული იყო შემდეგი სტარტეგიული ამოცანები:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

2. ამოღებულია (ბრძ. N142, 20.10.2020)

3. დამატებითი (კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი) აქტივობების წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის სისტემის გაუმჯობესება

4. სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სერვისების გაუმჯობესება

5. დარგობრივი ლაბორატორიების განვითარება

6. საბიბლიოთეკო ფონდისა და საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება

7. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ღონისძიებების განვითარება

8. პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის სერვისების განვითარება

სტრატეგიის განხორციელების პროცესის ეფექტიანობა მეორე სტრატეგიული მიზნისთვის შეფასდა - 4,37 ქულით.

სტრატეგიული მიზანი 3. ადამიანური რესურსების და მართვის სისტემის განვითარება

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის განხორციელებისთვის განსაზღვრული იყო შემდეგი სტარტეგიული ამოცანები:

1. მართვის სისტემის განვითარება სტრატეგიული მიზნების და ამოცანების უფრო ეფექტურად შესრულების უზრუნველყოფის თვალსაზრისით
2. ორგანიზაციული პროცედურების და პროცესების დახვეწა და სქემატური აღწერა
3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება
4. ადამიანური რესურსების სამუშაოზე მიღების, განვითარების, სტიმულირების სისტემის ეფექტურობის გაზრდა

სტრატეგიის განხორციელების პროცესის ეფექტიანობა მესამე სტრატეგიული მიზნისთვის შეფასდა - 4,31 ქულით.

სტრატეგიული მიზანი 4. დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის განხორციელებისთვის განსაზღვრული იყო შემდეგი სტარტეგიული ამოცანები:

1. დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გაზრდა;
2. აკადემიის მიერ დამხმარე სერვისების, განვითარება დაფინანსების რაოდენობის გაზრდის მიზნით (ბრძ. N142, 20.10.2020)

სტრატეგიის განხორციელების პროცესის ეფექტიანობა მეოთხე სტრატეგიული მიზნისთვის შეფასდა - 4,31 ქულით.

სტრატეგიული მიზანი 5. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის განხორციელებისთვის განსაზღვრული იყო შემდეგი სტარტეგიული ამოცანები:

1. საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება, მათ შორის ვებგვერდის, სოციალური ქსელის და სხვა.

2. კორპორატიული კულტურის განვითარება საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებისას როგორც პერსონალის, ისე პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ

3. საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება, მათ შორის უცხოელი საგანმანათლებლო და ბიზნესპარტნიორებთან თანამშრომლობა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება

სტრატეგიის განხორციელების პროცესის ეფექტიანობა მეხუთე სტრატეგიული მიზნისთვის შეფასდა - 4,33 ქულით.

<u>საბოლოო ჯამში, საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სტრატეგიული მიზნების შესრულებისთვის განსაზღვრული იყო 23 სტრატეგიული ამოცანა, რომლებიც აკადემიამ საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად შეასრულა.</u>

<u>მონიტორინგის შედეგად, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რელევანტურობის შეფასების ნაწილში გამოიკვეთა, შემდეგი, აკადემიის მიერ განსაზღვრული ყველა სტრატეგიული მიზანი შეფასდა 4 და მეტი ქულით, რაც გულისხმობს რომ ხუთივე სტარტეგიული მიზნის განხორციელება რელევანტურია მოცემული ეტაპისთვის, აღნიშნული მიზნებისთვის განსაზღვრული ამოცანები კი აკადემიამ საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად შეასრულა და კვლავ აგრძელებს ამ მიმართულებით განვითარებას.</u>

<u>სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების დინამიკა ასევე ასახულია წლიურ სამოქმედო გეგმებშიც, რომელსაც აკადემია შეიმუშავებს 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაყრდნობით.</u>

<u>აღნიშნულიდან გამომდინარე 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა მიემართება აკადემიის მიზნების შესრულებისკენ, წინააღმდეგობაში არ მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგია 2022-2030 თან, იგი ცვლილებას და კორექტირებას არ საჭიროებს.</u>